2007 წლის **14** მაისიდან საქართველოსთვის ძალაში შევიდა ჰააგის **1961** წლის **5** ოქტომბრის კონვენცია, რომელიც აუქმებს უცხოეთის ოფიციალური დოკუმენტების ლეგალიზაციის მოთხოვნას. (http://www.hcch.net/upload/conventions/txt12en.pdf)

აღნიშნული თარიღიდან, ჰააგის კონვენციის წევრ სახელმწიფოების ტერიტორიაზე გამოსაყენებელი დოკუმენტები საქართველოს ოფიციალური ორგანოების მიერ მოწმდება სპეციალური შტამპით - აპოსტილით.

საქართველოს ოფიციალური ორგანოების მიერ გაცემული დოკუმენტების ლეგალიზაციის მოთხოვნა ძალაში რჩება გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკასა და საბერძნეთის რესპუბლიკისათვის და აგრეთვე საზღვარგარეთის ყველა იმ ქვეყნებისათვის, რომლებიც არ არიან ზემოაღნიშნული კონვენციის წევრი სახელმწიფოები.

ჰააგის კონვენციის წევრ სახელმწიფოების მიერ, რომლებიც აგრეთვე არიან მინსკის **1993** წლის "სამოქალაქო, საოჯახო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარების და სამართლებრივი ურთიერთობების შესახებ" კონვენციის წევრი სახელმწიფოები, გაცემული დოკუმენტები მიიღება ყოველგვარი დამოწმების (ლეგალიზაცია, აპოსტილი) გარეშე.

ჰააგის კონვენციის წევრი სახელმწიფოები:

ჰააგის კონვენციის წევრია ევროპის უმეტესი სახელმწიფო და მათ შორის აზიის ქვეყნების გარკვეული ნაწილი, ამჟამინდელი მონაცემებით 85 ქვეყანა. ეს რიცხვი იზრდება თითქმის ყოველწლიურად.
ესენია:
ავსტრალია, ავსტრიის რესპუბლიკა, აზერბაიჯანის რესპუბლიკა, ალბანეთი, ანდორა, ანტიგუა და ბარბუდა, არგენტინის რესპუბლიკა, სომხეთის რესპუბლიკა, ბაჰამის კუნძულები, ბარბადოსი, ბელორუსიის რესპუბლიკა, ბელიზი, ბულგარეთის რესპუბლიკა, ბელგიის სამეფო, ბოტსვანას რესპუბლიკა, ბოსნია-ჰერცოგოვინა, ბრუნეი-დარუსალამის სახელმწიფო, დანიის სამეფო, დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფო, უნგრეთის რესპუბლიკა, ვენესუელის რესპუბლიკა, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა, გრენადა, საბერძნეთის რესპუბლიკა, დომინიკანის რესპუბლიკა, ისრაელის სახელმწიფო, ინდოეთის რესპუბლიკა, ირლანდია, ისლანდია, ესპანეთის სამეფო, იტალიის

რესპუბლიკა, კვიპროსის რესპუბლიკა, კორეის რესპუბლიკა, კუკის კუნძულები, ლატვიის რესპუბლიკა, ლესოტოს სამეფო, ლიბერიის რესპუბლიკა, ლიტვის რესპუბლიკა, ლიხტენშტეინის საგრაფო, ლუქსემბურგის დიდი საჰერცოგო, მავრიკია, მაკედონიის რესპუბლიკა, მალავის რესპუბლიკა, მალტის რესპუბლიკა, მარშალის კუნძულების რესპუბლიკა, მექსიკა, მოლდოვას რესპუბლიკა, მონტენეგრო, ყაზახეთის რესპუბლიკა, კოლუმბია, მონაკო, ნამიბია, ნიდერლანდების სამეფო, ნიუე, ნორვეგიის სამეფო, ახალი ზელანდია, პანამის რესპუბლიკა, პოლონეთი, პორტუგალიის რესპუბლიკა, რუმინეთი, რუსეთის ფედერაცია, ელ-სალვადორის რესპუბლიკა, საქართველო, სან-მარინოს რესპუბლიკა, სამოა, სენტ ვინსენტი და გრენადინი, სენტ-ლუსია, სენტ-კიტსი და ნავისი, სვაზილანდი, სეიშელის რესპუბლიკა, სლოვენიის რესპუბლიკა, სერბეთი, სლოვაკეთი, აშშ, სურინამის რესპუბლკა, ტონგოს სამეფო, თურქეთის რესპუბლიკა, ტრინიდადი და ტობაგო, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა, ფიჯის კუნძულების რესპუბლიკა, ჩეხეთის რესპუბლიკა, ფინეთის რესპუბლიკა, საფრანგეთის რესპუბლკა, ხორვატია, შვეიცარიის კონფედერაცია, შვედეთის სამეფო, უკრაინა, ეკვადორი, ესტონეთი, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა, იაპონია.

თუ დოკუმენტი წარმოდგენილია სხვა სახელმწიფოდან, რომელიც არ შედის ზემოხსენებული სახელმწიფოების ჩამონათვალში, იგი ექვემდებარება ლეგალიზაციას.

მინსკის კონვენციის წევრი სახელმწიფოები:

აზერბაიჯანი, სომხეთი, ბელარუსია, ყაზახეთი, ყირგიზეთი, მოლდოვა, რუსეთი, ტაჯიკეთი, თურქმენეთი, უზბეკეთი, უკრაინა.